*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები:**

**თავმჯდომარე :** თეონა ყაჭეიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

**წევრები:**

თამარ აბაზაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ირმა ავალიანი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო თედორაძე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ვარდო გოგილავა- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

შოთა მაღლაკელიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ვერა გუდაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მაია ჩაჩხიანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

კობა დეკანაძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ჯოჯიშვილი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 203850733 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ლ. ასათიანის ქ. №50 |
| საფოსტო ინდექსი | 0108 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ- | https://skolebi.emis.ge/schools/ |

| | |
|---|---|
| გვერდი | |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | tbilisi43@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 995 32 2996674 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 8 მაისის №MES3250000503067 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2025 წლის 3 და 4 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული ენა | ქალაქ თბილისი, ლ. ასათიანის №50-შენობა - ნაგებობა 1(ერთი) |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხური | ქართული ენა | ქალაქ თბილისი, ლ. ასათიანის №50-შენობა - ნაგებობა 1(ერთი) |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხური | ქართული ენა | ქალაქ თბილისი, ლ. ასათიანის №50-შენობა - ნაგებობა 1(ერთი) |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში. აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტამდე, Teams - ის პლატფორმაზე, ავტორიზაციის ჯგუფისთვის შეიქმნა ჯგუფი - დისტანციური ჩართვებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ პირველად დოკუმენტაციას ექსპერტები გაეცნენ და მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. პირველივე დისტანციური შეხვედრისას შედგა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა შედგა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილულ იქნა კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და მონიტორინგის საკითხები.

სსიპ ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლაში დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ განხორციელდა ვიზიტის დაგეგმვამდე დოკუმენტაციის შესწავლა I-VI კლასებში საგნების მიხედვით (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება). ის მონაწილეობდა ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრებში, სადაც სხვა საგნობრივ ექსპერტებთან ერთად განხორციელდა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და დამუშავება.

ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც სკოლის მიერ მოწოდებული იქნა ვიზიტის მეორე დღის დასრულებამდე.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| | | |
|---|---|---|
| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული |

| ზღვრული რაოდენობა | | რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: -----1450--------- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | **სკოლის ფილოსოფია** | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N* | | |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***ხარვეზი*** |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | ხარვეზი |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული<br><br>მხარდაჭერა | |
| 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა | 3.4.1.1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო | <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის</u><br><br><u>შენობის უკანა პერიმეტრიდან გამომდინარე საფრთხის (კლდის ქვათაცვენა) მართვის/აცილების უზრუნველყოფა , შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (23.07.2025-23.07. 2027) .</u> |

| | | |
|---|---|---|
| | დაწესებულების შემთხვევაში) | |
| 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა | 3.4.1.1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს</u><br><br><u>სკოლის ახლადრეაბილიტირებული შენობის პირველ სართულზე მიმდინარე აქტიური დანესტიანების პროცესის შესაჩერებლად სამუშაოების წარმართვა , შესაბამისობის გეგმაში გაწერილ</u><br><br><u>ვადებში (23.07.2025-23.07. 2027) .</u> |
| 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება 3.4.1. | 3.4.1.1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების | <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის</u> |

| | | |
|---|---|---|
| სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა | დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | <u>განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება , შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (23.07.2025-23.07. 2027) .</u> |
| 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა | 3.4.1.1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა- | <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს</u><br><br><u>უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა , შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (23.07.2025-23.07. 2027) .</u> |

| | | |
|---|---|---|
| | ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა | 3.4.1.2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს</u><br><u>ექიმის კაბინეტში სამედიცინო შირმის განთავსება, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (23.07.2025-23.12. 2027) .</u> |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1. | 2.1.2.3კურიკულუმით<br><br>გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას<br><br>**(საბაზო- საშუალო საფეხური).** | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველსაყოფად შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის გაგრძელება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (23.07.2025-23.07. 2026) .** |
| ინდიკატორი N2.2. | 2.2.2.3.კურიკულუმში<br><br>გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით<br><br>**(საბაზო- საშუალო საფეხური)** | **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველსაყოფად შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის გაგრძელება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (23.07.2025-23.07. 2026) .** |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ | *რჩევა* |
| 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა<br>3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება | 3.5.1.3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით | <u>რჩევა:</u> სასურველია ჩატარდეს სკოლის ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია და მოხდეს დაზიანებული წიგნების ჩამოწერა ბალანსიდან. |

| | | |
|---|---|---|
| არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას | | |
| 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა<br>3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას | 3.5.1.4. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას | <u>რჩევა:</u> სასურველია, სკოლამ, პირველ სართულზე მდებარე ეზოდან შემოსასვლელი კარი შეცვალოს ან არსებული ადაპტირდეს სტანდარტის (ხელმისაწვდომობის სტანდარტი) შესაბამისად. |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი*<br><br>*N2.1.* | *2.1.2.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს*<br>***(დაწყებით, საბაზო , საშუალო საფეხური)*** | *რჩევა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი და დავალების პირობას თან დაერთოს, ასევე, სასურველია, კათედრაზე არსებობდეს სტრუქტურირებული, ერთიანი ფორმა, სადაც აისახება კლასი, საგანი, შემაჯამებელი სამუშაოს რიგითობა, თარიღი, შეფასების სქემა.* |
| *ინდიკატორიN2.1.* | *2.1.2.4.სასწავლო პროცესი*<br><br>*არის ინკლუზიური და*<br><br>*ითვალისწინებს*<br><br>*დიფერენცირებულ მიდგომებს*<br><br>***საბაზო საფეხური*** | *რჩევა: ისგ-ს გრაფაში ''სტრატეგია, აქტივობები, რესურსები'' ასახეთ რა მეთოდით, რომელი აქტივობით და რა რესურსით აღწევთ მიზანს, ასახეთ მოსწავლის პროგრესი მეტი დეტალურობით. თან დაურთეთ თქვენს მიერ მოდიფიცირებული დავალება. მიუთიეთ, რომელ სასწავლო მიზნებს და როგორ ზომავთ. (საბაზო/საშუალო საფეხური). მე-6 კლასის წარმოდგენილ ისგ გეგმაში სამიზნე ცნებები მოიყვანეთ შესაბამისობაში თანამედროვე ფორმულირებებთან (დაწყებითი საფეხური). ჩატარებული კითხვარის (მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში) ანალიზში ასახეთ შედეგების სტატისტიკური მონაცემები, მეტი კონკრეტულობა ინიციატივასთან ან შედეგებთან დაკავშირებით.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორიN2.1.* | *2.1.2.5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*<br><br>***(საბაზო და საშუალო საფეხური).***<br><br>***საბუნებისმეტყველო მეცნიერება*** | *რჩევა: წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში, მათ შორის შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემებში, ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებზე, საფეხურის შედეგებზე ან სამიზნე ცნებებზე, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. (საბაზო და საშუალო საფეხური).* |
| *ინდიკატორიN2.1.* | *2.1.2.5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*<br><br>***ესთეტიკური აღზრდა*** | *რჩევა: სასურველია, რომ შეფასება, ფაქტობრივი ცოდნის ფიქსაციასთან ერთად, ასახავდეს შემოქმედებითობას, მონაწილეობას, პროცესში ჩართულობას. სასურველია, ინტეგრირებული იყოს უწყვეტი უკუკავშირი, თვითშეფასება, თანატოლების შეფასება.* |
| *ინდიკატორიN2.1.* | *2.1.2.5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*<br><br>***სახელმწიფო ენა*** | *რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.* |
| *ინდიკატორიN2.2.* | *2.2.1.1.*სასწავლო პროცესი<br><br>დაგეგმილია სასკოლო | რჩევა: გაკვეთილის პროცესზე დაკვირვება, სასურველია, შეჯერდეს პედაგოგის და მოსწავლეთა ჩართულობის ანალიზით. |

| | | |
|---|---|---|
| | კურიკულუმის შესაბამისად<br><br>*ესთეტიკური აღზრდა* | |
| *ინდიკატორი2.2.* | *2.2.1.3 შეფასების სისტემა არის*<br><br>*ვალიდური, გამჭვირვალე,სანდო,ობიექტური,*<br><br>*სამართლიანი*<br><br>*ესთეტიკური აღზრდა* | *რჩევა: სასურველია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები და შემდგომ, მოსწავლეები ჩართოს ურთიერთშეფასების პროცესში.* |
| *ინდიკატორი2.2* | *2.2.2.1.კურიკულუმით*<br><br>*განსაზღვრული ძირითადი და*<br><br>*დამხმარე სასწავლო რესურსი*<br><br>*გამოიყენება სასწავლო პროცესში*<br><br>*ესთეტიკური აღზრდა* | *რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი პროცესის მრავალფეროვან განვითარებას.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახულ არგუმენტირებულ პოზიციას.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლას (შემდგომში სკოლა) წარმოდეგენილი აქვს 2023-2030 წლების სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც მოცემულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიმზნებსა და მოთხოვნებს. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. სკოლის მისია ითვალისწინებს აღსაზრდელისათვის მატერიალური და სულიერი ფასეულობების ობიექტურ და გამოწვლილვით მიწოდებასა და ანალიზს.

მისიაში გამოყოფილია ორი პრიორიტეტული ფასეულობა:

**სულიერი ფასეულობები** : კულტურა, მეცნიერება, ადამიანი. ადამიანი-ადამიანი. ადამიანი- სამყარო და **მატერიალური ფასეულობები** : პოლიტიკური, სოციალური სისტემების ისტორიის გამოცდილების გათავისების საფუძველზე, საკუთარი ადგილის პოვნა სამყაროში ანუ პიროვნების სოციალიზება.

სკოლის ხედვაში ჩანს, რომ მისიაში ჩამოყალიბებული მთავარი მიზნების მიღწევას სკოლა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, მათი პოტენციალისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მათზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნით ცდილობს. სკოლა ზრუნავს არა მარტო მოსწავლეებს მისცეს სათანადო ცოდნა, განუვითაროს ყველა საჭირო უნარ-ჩვევა, რომელიც დაეხმარება მათ დამოუკიდებელი ცხოვრების გზის გაკვალვასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში, არამედ მოსწავლესთან ერთად იმუშაოს მის ოჯახთან.

სკოლას ღირებულებების სახით ჩამოყალიბებული აქვს ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც ის მოქმედებს, ესენია: გამჭირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა;

ამგვარად, სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მისი ფუნდამენტური როლი, ძირითადი მიზნები და ღირებულებები, რასაც ემსახურება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს მოსწავლეებზე ორიენტირებული უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, სადაც ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით ჩართული ჰყავს მოსწავლის ოჯახიც. კოლაში განხორციელებული პროგრამები, პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას დაწესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად რაც საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოებას შეუქმნას უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით. დაწესებულებამ განახორციელა სკოლის შიდა სამუშაო გუნდის მიერ შემუშავებული ანკეტის მიხედვით გამოკითხვა, ჩაატარა შეხვედრები მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან, განსაზღვრა მათი მოლოდინები და პრიორიტეტული საკითხები და მხოლოდ , შემდგომ შეიმუშავა მისია და ხედვა საბოლოო სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. რადგან მათი საბოლოო მიღება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სხადასხვა ფორმით გაცნობის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოებისთვის გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე ე.წ. "სკოლების პორტალზე":https://skolebi.emis.ge/schools, სადაც ნებისმიერი ადამიანისთვის აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და ფორმირებულია შემდეგნაირად -" სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლა". სკოლას წარმოდგელილი აქვს 2009 წლის 22 აპრილის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №226 ბრძანება სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.013.03 3,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. რომლის მიხედვით ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, შევიდა ცვლილება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში და სკოლას მიენიჭა ტიციან ტაბიძის სახელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.
– სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
--https://skolebi.emis.ge/schools;
-2009 წლის 22 აპრილის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №226 -სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.013.033.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის № 1/კ - 06 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და

მონიტორინგის მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადორების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, ის განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულ მეთოდოლოგიის მე-6 პრიმა მუხლში მოცემულია, რომ "ს კოლა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და ,,პრობლემების ხის" საშუალებით გაანალიზებს თითოეულ პრობლემას;" წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ საჯარო სკოლის, როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმის, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

აღნიშნული დაწესებულების მიერ შემუშავებული (2023-2030 წლების) სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მისიასთან თავსებადი მიზნები და ამოცანები. დოკუმენტშივე ასახულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები. სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**

➢ **ორგანიზაციული განვითარება**

თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის განსაზღვრულია ამოცანები, რისი განხორციელებაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოებას ამ მიზნების მიღწევაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც სამეურვეო საბჭოს სხდომაზე 2024 წლის 07 სექტემბერის ოქმი N5-ით დამტკიცდა. ის გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან.

სამოქმედო გეგმა გათვლილია ერთ სასწავლო წელზე და მისი გადახედვა ხდება ყოველი სემესტრის შემდგომ. გადახედვის შედეგად ფასდება წინა წლის გეგმის შესრულება. ამგვარად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის ერთწლიან 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებები/მიზნები. აქტივობები დაგეგმილია შემდეგი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. თითოეული აქტივობისათვის შესრულების გაზომვადი ინდიკატორია განსაზღვრული, რომელიც კონკრეტული ვადების დაცვით არის წარმოდგენილი. ასევე, განსაზღვრულია ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი პირი და შესაბამისი რესურსი (მხოლოდ ადამიანური და არა მატერიალური). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლისდირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის № 1/კ - 06 ბრძანებით "სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია";

- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;

- სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის № 1/კ - 06 ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მონაწილეობით დოკუმენტი " სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია". რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია.

აღნიშნულ დოკუმენტში ცალკე თავად არის გამოყოფილი"ს ასკოლო სასწვლო გეგმის, სტარეტეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება", სადაც იკითხება, რომ მონიტორინგი განხორციელდება წელიწადში ორჯერ (სემესტრში ერთხელ). მონიტორინგისათვის გამოყენებული იქნება წინასწარ შემუშავებული კითხვარი. მოხდება კითხვარის შემუშავება და სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა და მონიტორინგის შედეგების განხილვა: რა შესრულდა, რა შეფერხდა, . რამ დაკარგა აქტუალობა, შესრულდა თუ არა აქტივობები ვადების დაცვით, რა დაემატება, რამდენად ქმედითია აქტივობები, რამდენად

სწორადაა განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები, რამდენად მკაფიოდაა გაწერილი გრძელვადიანი პრიორიტეტები და ასახულია სამოქმედო გეგმაში, დაგეგმილი აქტივობები რამდენად შეესაბამება მიზნებს, რამდენადაა გათვალისწინებული სკოლის რესურსები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა გეგმავს განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, რის დამადასტურებლად სკოლის დირექტორმა წარმოადგინა მომზადებული კითხვარი. - მეთოდოლოგიის შესაბამისად, გათვალისწინებულია სკოლის დირექციის, სასკოლო საზოგადოების (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი,მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭოსა და თემის ჩართულობა და უკუკავშირი ამ პროცესში; უკუკავშირის მიღება განხორციელდება ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელების, დრაივის, სკოლის ვებგვერდის, საჯარო ღონისძიებების საშუალებით, პედსაბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა აპირებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროებას. იგეგმება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების ჩართვა საჯაროობის მისაღწევად: მაგალითად სკოლის ვებ-გვერდის, სკოლის სოციალური გვერდის, შესაძლებელია საჯარო ღონისძიებების დაგეგმვაც - პრეზენტაციის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

| | |
|---|---|
| სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს გაწერილი აქვს დოკუმენტურად | გასული წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები მომავალი წლის დაგეგმვისას, რაც მეთოდოლოგიის დოკუმენტის დასკვნით თავში "სასკოლო სასწავლო გეგმის, სტარეტეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია ;
- სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარები;
- 2024 -2025 სასწავლო წლის სექტემბრის №1 პედ. საბჭოს ოქმი;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ სკოლის ეფექტიანობას განაპირობებს სკოლაში ყველა დასაქმებული პირის კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობა. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის წესდებაში მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ფუნქციონირებს : სამურვეო და პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები და სხვა. შემუშავებულია შინაგანაწესი და შინაგანაწესის გაცნობის მექანიზმი. შრომით ხელშეკრულებებში ფიქსირდება, რომ "თანამშრომელი გაეცნო შინაგანაწესით განსაზღვრულ მოთხოვნებს". სკოლის დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებულია შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და სხვა... სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავს პერსონალის მოვალეობებს და შესასრულებელი სამუშაოს ძირითადი აღწერილობის ასპექტებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს საქმიანობის შესაბამისობას განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლაში ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით ჩანს, რომ სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. პასუხისმგებლობა თანამშრომელთა შორის მიზნობრივადაა გადანაწილებული, რაც ასახულია სხვადასხვა დოკუმენტში, მაგალითად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში . სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანური რესურსის შეფასება, თუმცა ჯერ -ჯერობით სკოლაში არ განხორციელებულა სტრუქტურული ერთეულის - თანამშრომლის შეფასება..

მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება სკოლის საქმიანობა შეფასდეს სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

-სკოლის სტრუქტურა;

- სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;

-პედ. საბჭოს ოქმები;

- კათედრების დებულება და დოკუმენტაცია (პორტფოლიო).

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება მასწავლებლებს, სხვა დასაქმებულ პირებს რომელთა კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური მართვის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს პროცესების მართვას კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შინაგანაწესი შექმნილი აქვს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით. იმის გათვალისწინებით, რომ შინაგანაწესი დამტკივებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელშიც შედიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე, ეს დოკუმენტი, გარკვეულწილად, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შინაგანაწესი არ ეწინააღმდეგება გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებს, რომლებიც შემოწმდა შემთხვევით შერჩევითობიდ პრინციპით. სკოლაში ახალი კადრების საკონკურსო წესით მიღებისას გაწერილი აქვს საკუთარი მოთხოვნები საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლის საქმიანობა შეიძლება შეფასდეს სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროს პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: რომ პერსონალის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე აღწერილი აქვს HR ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში თითოელი საშტატო ერთეულის შესაბამისი სამუშაო აღწერილობა, სადაც კონკრეტულად იდენტიფიცირებულია ის მოთხოვნები, რომელსაც უყენებს დამსაქმებელი/სკოლა - დასაქმებულს. აღნიშნული დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის ინტერვენციულ მართვას. სკოლა, საჭიროებისამებრ, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე, ისე, რომ არ დაზარალდეს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. სკოლის დირექტორის მოადგილე აწარმოებს ე.წ. მასწავლებლის გაცდენის შენთხვევაში მის გაკვეთილის სხვა შესაბამისი მასწავლებლის ჩანაცვლების აღრიცხვის ჟურნალს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება არის განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ღია კონკურსის წესის ჩასატარებლად იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები. კონკურსი ცხადდება ყველა დასაქმებულ პირზე ვებგვერდზე - teacherjobs.ge, სადაც აპლიკანტები წარმოადგენენ განაცხადს. კონკურსის პირველ ეტაპზე ხორციელდება აპლიკანტთა დოკუმენტაციის გადარჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებაში; მეორე ეტაპზე აპლიკანტებს იწვევენ კომისიასთან გასაუბრებაზე, სკოლაში საკონკურსო კომისიის ოქმებში ფიქსირდება მიღებული გადაწყვეტილება, რასაც ადასტურებენ კომისიის წევრები ხელმოწერით.

სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს ნასამართლეობის შესახებ ცნობა პირად საქმეში, ასევე ბოლო წლებში მიღებულ თანამშრომლებებთან დამატებით გვხდება: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გარდა მასწავლებლებისა, ექიმის პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაციაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სკოლის ექიმს გააჩნია პედიატრის კვალიფიკაცია. სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს შემუშავებული "სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დებულება ", სადაც დეტალურად გაწერილია დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია თანხვედრაშია სკოლის მიერ გაწერილ დოკუმენტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. მასწავლებლები ჩართულნი არიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებში (ერთობლივი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, მორიგეობა, ურთიერთდასწრება… ) იკვეთება მასწავლებლების ურთიერთ-თანამშრომლობა და მათი კოორდინირებული მუშაობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომლობენ: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითთმართველობა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მუხლი 10-ით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირრულის, ან/და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

• დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა

ზემოთხსენებული წახალისების ფორმებიდან, სკოლა მხოლოდ მორალური ხასიათის წახალისებით შემოიფარგლება. მაგალითად, სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატების აღიარება და წარმოჩენა ხორციელდება პედსაბჭოს მიმდინარეობისას, კათედრების შეკრებისას "მადლობის" გამოცხადებით.

რაც შეეხება გაზიარებას, მასწავლებელთა ფოკუსჯგუფში პედაგოგებმა მოიყვანეს რამოდენიმე მაგალითი მასწავლებლის მიერ ახალი მეთოდიკის გამოყენების აღიარების და შემდგომ გაზიარების, ასევე ამ სასწავლო წელს ჩატარებულ ღია გაკვეთილების სერიის შესახებ, რომლის დანიშნულება იყო დანერგილი ინოვაციის სხვა კათედრის წევრებისთვის გაცნობა, გაზიარება, რამაც კარგად იმუშავა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;*
- *სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;*
- *მასწავლებელთა შეცვლის ჟურნალი;*
- *თანამშრომელთა ხელშეკრულებები;*
- *სოციალური ქსელი;*
- *მასწავლებლის ვაკანსიის გვერდი;*
- *სკოლის გრძანებები;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *პედ. საბჭოს ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენას სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში დანერგილი ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მეშვეობით. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობის საკითხს, რისთვისაც გათვალისწინებული აქვთ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში ჩართულობის უზრუნელყოფა. თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენის საკითხი გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმებით. სკოლა ანალიზის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და უკუკავშირი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნა, პერსონალის განვითარება ხორციელდებოდეს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, როგორც სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნული და ვიზიტისას სკოლის დირექტორმა და მისმა მოადგილემ განაცდხადეს, არ ხორციელდება. სკოლაში არ არსებობს პერსონალის განვითარების მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა, რაც საჭიროებების კვლევის შედეგად იქნებოდა შემუშავებული (თუმცა სკოლას აქვს მცდელობა, იკვლიოს პერსონალის საჭიროება, მაგრამ არ ჩანს კვლევის შედეგზე დაფუძნებული ქმედება) სკოლის ხელმძღვანელობა აცნობიერებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების პროცესში პერსონალის განვითარების სტრატეგიისა და გეგმის მნიშვნელობას. ამიტომ, მომდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და მთლიანად პროცესების შეფასების შემდეგ, მოსწავლეთა აკადემიური შედეგებზე დაკვირვებით და მასწავლებელთა მოსაზრებების საფუძველზე შემუშავდება გეგმა. მასწავლებლები თავად რეგისტრირდებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე თვითშეფასების გათვალისწინებით, ხოლო სკოლის სხვა თანამშრომლები, მაგალითად ბუღალტერი გადის საქმიანობისათვის კონკრეტული პერიოდისათვის შემოთავაზებულ ტრენინგებს.

შესაბამისად, სკოლის საქმიანობა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის პროფესიული განვითარებაზე - სულ სკოლაში დასაქმებულია 52 პირი. სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. დაწესებულებას ჰყავს სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლები (არცერთი უსტატუსო 37 მასწავლებლისგან, სკოლას არ ჰყავს მხოლოდ მენტორი მასწავლებელი), რომლებიც ზრუნავენ სტატუსის გაუმჯობესებაზე და ამისათვის აქვთ სკოლის სრული მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში. პერსონალის პირად საქმეებში იყო სხვადასხვა ტრენინგების დამადასტურებლი სერტიფიკატები. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს ხელი შეუწყოს ასევე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლას არა აქვს შემუშავებული ცალკე დოკუმენტად თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, მაგრამ სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალი თანამშრომლის მიღებისას სკოლაში ადაპტაციის მექანიზმებს (მუხლი 18). მასში დეტალურად არის აღწერილი ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები, რაც ემსახურება ახალი თანამშრომლის სოციალიაზიას ახალ გარემოში. სკოლის პერსონალი მოქმედებს დოკუმენტში წარმოდგენილი წესის შესაბამისად , დაწესებულება ყველა ახალ თანამშრომელს აცნობს სასკოლო კულტურას, წესებს და ტრადიციებს, უქმნის ყველა პირობას თვითრეალიზებისა და პროფესიული წინსვლისთვის, აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს. ამ მიმართულებით, სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის დირექცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლის თანამშრომლებს სიახლეებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მასწავლებლების ინიციატივები ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერილია, ადმინისტრაცია ხელს უწყობს პერსონალს სხვადასხვა იდეების და ინიციატივების განხორციელებაში. მასწავლებლები აქტიურად ახორციელებენ მრავალფეროვან პროექტებს არაფორმალური განათლების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

-ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;;
- სკოლის შინაგანწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- Eschool - ის ბაზა;
- კათედრების ოქმები;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (ბრძანება N 1კ-02, 13.01.2025წ. ). ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. იგი ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. დოკუმენტი ეხმარება სკოლას სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებაში, არსებული პოტენციალის გამოყენებასა და განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმი გაწერილი აქვს სახვადასხვა დოკომენტში, რომელთაგან მნიშვნელოვანია: სკოლის შიგაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. ასევე, ცალკე დოკუმენტად გაწერილი აქვს "სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი".

მაგალითად, კონკრეტული მოსწავლის მიერ სემესტრის ბოლოს მიღებული აკადემიური შეფასების გასაჩივრება და სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით მიმართვა შეუძლია მოსწავლის მშობელს, რომლის განცხადებას განიხილავს სკოლის დირექტორი და იღებს გადაწყვეტილებას სემესტრული გამოცდის დანიშვნის ან არ დანიშვნის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მშობლის განცხადება, ბრძანება და ა. შ.

სკოლა ცდილობს, უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ კლასის დამრიგებლების დახმარებით. სკოლის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პირველ მშობელთა კრებაზე აწვდიან საჭირო ინფორმაციას მშობლებს, ხოლო შემდეგ, საჭიროებისამებრ ახსენებენ. ასევე, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. უფლება-მოვალეობები გაწერილია დასქმებულთა ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები, კი გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლეთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით ადმინისტარციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N43 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ადამიანური რესურსის მართვის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სასკოლო კურიკულუმი;
-სკოლის შიდა ბრძანებები;
- მშობლების მიმართვიანობა;

-tbilisi43@mes.gov.ge;
-https://eflow.emis.ge;
-ხარისხის ჯგუფის დებულება;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. ეფექტურად მუშაობს კლასის დამრიგებლის ინსტიტუტი. სოციალურ ქსელში დახურულ ჩატებში ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის საქმიანობის ანალიზმა დაგვანახა, რომ სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა წევრი ინფორმირებული და წახალისებულია სკოლის ცხოვრებაში და მმართველ ორგანოებში აქტიურად ჩართვისთვის. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოიპოვონ ადგილი სამეურვეო საბჭოში, და აქტიურად დაგეგმონ მათთვის საინტერესო ღონისძიებები, მაგალითად, სკოლაში დებატების კლუბი, რომლის ჩამოყალიბების ინიციატორია მოსწავლეთა თვითმმართველობაა.

ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, სკოლის მოსწავლეთა მშობლებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ან არჩეულ იქნენ სკოლის სამეურვეო საბჭოში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. მოსწავლეთა მშობლები, ასევე წარმოდგენილნი არიან სათანადო წესით, დისციპლინურ კომიტეტში.

შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მიერ გატარებული ღონისძიებებით უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დისციპლინური კომიტეტის დოკუმენტაცია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დებატების კლუბის დებულება;
- სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

- საჯარო სკოლაში უსაფრთხოების პრევენციისა და დაცვის მიზნით, არსებობს მრჩეველთა საბჭო. აქტიურად ხდება სპეციალური განრიგის მიხედვით სართულებზე მასწავლებელების მორიგეობა. სკოლაში მივლინებულნი არიან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურები.

- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ფუნქციონირებს ვიდეოსამეთვალყურეო კამერები.
- სკოლას 2025 წლის 28 აპრილის № MIA 02501265699 წერილის საფუძველზე შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო მართვის გეგმა;

<u>სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტი / შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ ,</u> **ვიზიტის შემდგომ , წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.07. 2027 წელი.** ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

სკოლის შენობა და მისი გარე სპორტული მოედანი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სპორტის გაკვეთილები ემიჯნება კლდეს . კლდიდან აქტიურად მიმდინარეობს ქვათა ცვენის პროცესი! სამწუხაროდ, მოსწავლეთა უსაფრთხოება ვიზტის პერიოდში არ იყო დაცული და სკოლის პერიმეტრის გასწვრივ ბადით კლდე არ იყო შემოსაზღვრული. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა წერილი - მიწერილობა ქ. თბილისის მერიის სამსახურთან, (2024 წლის 31 ივლისის №MES 1240000926201 წერილი), სადაც ის ითხოვს სკოლის უკანა მხარეს მდებარე კლდის ნაწილს ჩაუტარდეს გამაგრებითი სამუშაოები და გაუკეთდეს დამცავი ბადე. აღნიშნულ წერილზე რეაგირება არ

მომხდარა.. ვფიქრობთ, რომ საკმაოდ საშიში, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი სიტუაციაა და პრევენციულად სასწრაფოდ საჭიროებს სათანადო ყურადღების მიქცევას შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. **სკოლამ, ვიზიტის შემდგომ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.07. 2027 წელი.** ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა .

მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა ახალ რეაბილიტირებულ შენობაში მიმდინარე სასწავლო წელს სექტემბერში გადმოვიდა, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას სკოლის პირველ სართულის ფიზიკურ მდგომარეობას: ვიზიტის პერიოდში ნესტის გამო, სკოლის შენობის პირველი სართულის კედლები იყო სველი, სასადილოში, სპორტის დარბაზში, გასახდელებში და საკლასო ოთახებში კედლები ნესტის ობებით/სოკოთი იყო დაფარული! რამოდენიმე ადგილას "შეჭმული"/დაზიანებული იყო სპორტული დარბაზის იატაკი. . **სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.07. 2027 წელი.**ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლას არ გააჩნდა მიმართვა , მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ , მაგრამ **სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.07. 2027 წელი.**ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

**ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექიმი. ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. დაწესებულებას აქვს სამედიცინო კაბინეტი. შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი პედიატრი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. თუმცა არ არის გასასინჯი სივრცე გამოყოფილი, ეგრეთწოდებული შირმა. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა პირადი სივრცის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო სამედიცინო შირმა ექიმის კაბინეტისთვის . **სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.12. 2025 წელი.** ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

**ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

**სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში შემოსვლა-გასვლაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი. მისი უფლება-მოვალეობები დარეგულირებულია ხელშეკრულებით.

- საგაკვეთილო პერიოდში, სკოლის შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების პრევენციას ახდენენ მორიგე მასწავლებლები , არსებობს სართულების მიხედვით მორიგეობის სპეციალური განრიგი.

-სკოლაში მუშაობენ მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები;

- სკოლის შენობის და ეზოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ხედვით, რომელზე წვდომაც მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებს ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში.

სკოლის მიერ გატარებული საქმინაობა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე გამოვლენილი თითოეული დარღვევის შესაბამის რეაგირებას .

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს** .

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა სკოლის ერთერთი პრიორიტეტული ამოცანაა. მასწავლებლებმა ისაუბრეს და წარმოადგინესაუდიო ვიდეო მასალა აქტივობების ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: ბულინგი, კიბერბულინგი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, დისკრიმინაცია.

ვიზიტის დროს, გამოიკვეთა სკოლის გამოცდილება დებატების კლუბის წარმატებული საქმიანობის. სკოლას აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული აქვს არაერთი აქტივობა, რომლებიც ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო

გარემოს.მოსწავლეები მასწავლებლებისგან ინფორმირებული არიან იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედონ კრიტიკულ სიტუაციაში, თუ რაიმე ტიპის პრობლემა წარმოიქმნება ან მათ უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება, როგორც სკოლის ტერიტორიაზე, ისე მის მიღმა.

სკოლაში დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით რეფერირების წესი, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში ;

სკოლაში არსებული მანდატურები დიდ დახმარებას უწევენ სკოლას. რაც შეეხება ზრუნვას და უშუალოდ სასწავლო პროცესს, სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მანდატურის აქტის დროს გამოვლენილი გადაცდომის დროს სკოლის დირექცია "შემთხვევას" აფიქსირებს წერილობით.

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისათვის სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესს, მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიკაციის შემდეგ, რაც ფსიქო -საგანმანათლებლო სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე ხორციელდება, სკოლა იწყებს აქტიურ მუშაობას როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად და განსახორციელებლად, ისე ინდივიდუალური მხარდამჭერი აქტივობებისა და პროცედურების ორგანიზების თვალსაზრისით. მათ შორის პერსონალური ასისტენტის აყვანაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგს ახდენს სკოლის ექიმი სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად. სკოლაში განცალკევებით ინახება სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველა სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისთვის. მეორე სართულზე განთავსებულია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, ხელმისაწვდომი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

2023 წლის 14 ივნისის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიხედვით, რომლის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან, ხოლო კანონის ცალკეული მუხლები (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებასთან დაკავშირებით) 2024 წლის 1 ივნისიდან.

ამავე კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამიად მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს განესაზღვრათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის/დანიშვნის ვალდებულება 2024 წლის 1 ივნისიდან.

სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის № 43 საჯარო სკოლამ შუამდგომლობით მიმართა "საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და სკოლას დაენიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი; სკოლაში მოსწავლეთა ფოტო-ვიდეო გადაღებაზე თანხმობა დარეგულირებულია მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. სკოლა პერსონალურ მონაცემების ახალი /გაუმჯობესებული ფორმების შემუშავების პროცესშითვითშეფასების ანგარიშში არის მითითებული და დასტურდება სკოლის წარმომადგენელთა საუბრით, სასკოლო საზოგადოების წევრთა პერსონალურ მონაცემებზე ხელი მიუწვდება მხოლოდ დირექციისა და ადმინისტრაციის კონკრეტულ წარმომადგენლებს. გარდა ამისა, დამრიგებლებს ხელი მიუწვდებათ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პერსონალურ ინფორმაციაზე, რის გამოც, როგორც კლასის დამრიგებლებს, ისე რიგით მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების მკაცრად დაცვის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფილია როგორც ხელშეკრულებით, ისე შინაგანაწესითა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსით. სკოლა ისეთი ტიპის პერსონალურ მონაცემს, როგორიცაა მოსწავლის აკადემიური მოსწრება და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ინფორმაცია - აწვდის მშობელს ინდივიდუალურად. მოსწავლის ფოტო, ვიდეო ან აუდიოჩანაწერი სოციალურ ქსელში ქვეყნდება მხოლოდ მშობლის წერილობითი ან ზეპირი ნებართვითა და შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ აუცილებელია სკოლაში აკუმულირებული ინფორმაციის დაცვა და ამისათვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება. ეს განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა:

❖ Teams -ის პლატფორმა , სადაც სრულად დაცულია მოსწავლის პერსონალური მონაცემები ელექტრონულ პროგრამაში (Teams) მუშავდება მოსწავლის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, პაროლი, მოსწავლის გაკვეთილზე დასწრების შესახებ ინფორმაცია, საგაკვეთილო ცხრილი, შესრულებული დავალება, მასწავლებლის მიერ გაგზავნილი დავალების უკუკავშირი, ვიზუალური გამოსახულება და ხმა.

❖ ელექტრონული ჟურნალი, სადაც ასევე გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა.

სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს, საქმისმწარმოებელსა და საინფორმაციო მენეჯერს.

ელექტრონული ჟურნალის წარმოების დროს დაუშვებელია მასწავლებლების მიერ შეფასებების გადატანა სხვადასხვა ფაილებში/წიგნაკებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

მანდატურის სამსახური მთლიანად უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით . სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;

ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას; პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს,

საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).

Eschool - ის პლატფორმა აღნიშნულ სკოლას, ისე როგორც საქართვრელოში მოქმედ ყველა საჯარო სკოლას, ეხმარება მონაცემების დაცვაში ელექტრონული ბაზის წარმოებისას.

სსიპ ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლა ახორციელებს ელექტრონული ბაზის ადმინისტრირებას პორტალზე Eschool.emis.ge;

ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს და საინფორმაციო მენეჯერს. ბაზებში არსებული

მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად: მოსწავლის მობილობის დროს ან მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის შემოწმების დროს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მრჩეველთა  საბჭოს ოქმები;
- მასწავლებელთა სართულების მიხედვით მორიგეობის სია-განრიგი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- საევაკუაციო გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების გეგმა;
- წერილი მერიის სახელზე;
- ხელშეკრულება დარაჯთან;
- სოციალური ქსელი;
- რეფერირების წესი;
- მიწერილობა რესურს ცენტრში პერსონალური დაცვის ოფიცერთან დაკავშირებით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წერილი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ელ. ჟურნალი;
- თიმსის პლატფორმის ჯგუფები;
- ღრუბელთა საცავი;
- ისგ-ების პორტფოლიოები ელ. ვერსიები;

.შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს სოლოლაკში. ადრე ამ შენობაში მდებარეობდა მანთაშოვის სავაჭრო სასწავლებელი, რომელიც 1910–1911 წლებში ააშენეს. აღნიშნულ შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა და სკოლამ 2024-2025 სასწავლო წელი ახალ რეაბილიტირებულ დაწესებულებაში დაიწყო. სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც სკოლის სარგებლობაში არსებული დაზუსტებული ფართია - 2 883 კვ. მეტრი. ვიზუალუარად სკოლის შენობის გარშემოა მოწესრიგებული ეზო. აღნიშნულ დაწესებულებას საკლასო ოთახები ოთხივე სართულზე აქვს. ასევე, აქვს ბიბლიოთეკა, შიდა სპორტული დარბაზი, ერთი ღია სპორტული მოედანი, რესურსოთახი, 1 დიდი საკონცერტო დარბაზი, გასახდელები, სასადილო, ექიმის ოთახი, დირექტორის და ადმინისტრაციის ოთახები, სამასწავლებლო, აიტი კაბინეტი, ეზოში არის რეკრეაციული სივრცეები და ღია სპორტული მოედანი. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ერთ ცვლაში ( პირველი ცვლა).

ვიზიტის პერიოდში სკოლაში დროებით ფუნქციონირებდა სხვა სკოლა - სსიპ ქალაქ თბილისის №50 საჯარო სკოლა.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზი, ექსპერტთა შეფასებით ნახაზი შეესაბამება სკოლის ფაქტობრივ მდგომარეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები, გადაამოწმეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა შეფასებით სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სივრცეები: ფოიე, დერეფნები, საკლასო ოთახები, რესურს-ოთახები, · კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი -აიტის კაბინეტი, ადმინისტრაციული სივრცე - სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სპორტული დარბაზები, სანიტარული კვანძები და სხვა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ასევე რესურსები, იქნება ეს ისტ კაბინეტის ლეპტოპები, პროექტორები და სპორტული ინვენტარი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის წიგნადი ფონდია 6322 ცალი წიგნი. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნებით სარგებლობის აღრიცხვას ელექტრონულ ფაილში. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი და პრინტერი.

მოსწავლეებს შეუძლიათ მათთვის საინტერესო საკითხებზე იმსჯელონ სკოლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში ეხმარება სკოლის ბიბლიოთეკარი.

საბიბლიოთეკო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. <u>მხატვრული ლიტერატურა, რომელიც სკოლას გააჩნია, რეაბილიტაციის პერიოდში დაზიანდა(დასველდა) , სასურველია ჩატარდეს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია და მოხდეს დაზიანებული წიგნების ჩამოწერა ბალანსიდან.</u>

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა არის ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებაზე. დაწესებულებაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც პირველი სართულიდან - მეოთხემდე მოძრაობს. სკოლის შიდა სივრცე იძლევა საშუალებას ეტლით მოსარგებლე შშმ პირის გადაადგილების და შესაბამისად არის ამ კატეგორიის მოსწავლისთვის და სხვა ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის ხელმისაწვდომი.

სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი სტანდარტის მიხედვით მოწყობილი: უნიტაზთან განლაგებულია ორივე მხარეს მოაჯირი, ხელის დასაბან ნიჟარას სპეციალური ფორმა აქვს, რომ ეტლით მოსარგებლემ გამოიყენოს, ასევე ონკანი ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებაზე. სკოლის რესურსოთახიც კეთილმოწყობილია და სხვადასხვა კატეგორიის სსსმ მოსწავლის საჭიროებებზეა გათვლილი. რესურსოთახშია: კარავი აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის, ავეჯი, კომპიუტერი, ლოგიკური სათამაშოები, სხვა მრავალფეროვანი რესურსი სსსმ მოსწავლეთა შეფასებისთვის და განვითარებისთვის. სკოლაში ეტლით მოსარგებლე შშმ პირი ცენტრალური შესასვლელიდან ვერ შევა. ეტლით მოსარგებლე შშმ პირს სკოლის შენობაში მხოლოდ სკოლის ეზოს მხრიდან შეუძლია შეღწევა. კარები, რომლის მეშვეობითაც შშმ პირი სკოლის შენობაში უნდა შევიდეს, სრულად არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტებს : ( 2020 წლის 4 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №732 დადგენილება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ ) აღნიშნული კარი არ არის ავტომატური/ არა აქვს ორმხრივი გაღების ფუნქცია, ის შემინულია და არამარკირებული, რაც საფრთხეს უქმნის მცირემხედველ მოსწავლეებს. მისი ზრურბლი არის მაღალი - 30 სანტიმეტრიანი, რაც შენობის ჰოლში მოსახვედრად ეტლით მოსარგებლე შშმ პირს დამატებით ბარიერს უქმნის: მექანიკური ეტლით მოსარგებლე მეორე (სხვა) პირის დახმარებით შევა აღნიშნული კარის გამოყენებით შენობაში, მაგრამ ელექტრონული ეტლით მოსარგებლეს - გაუჭირდება. <u>სასურველია კარის სტანდარტულით შეცვლა ან არსებულის ადაპტირება.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლა ახლადრეაბილიტირებულია. დაწესებულება აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური მომსახურება. სკოლაში არის ზონები: ეზო, რესურსოთახი, ფოიე, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეების განტვირთვის და დასვენების მიზნით. სკოლის კეთილმოწყობილ ეზოში დამონტაჟებულია მოსასვენებელი სკამები, აქვეა ღია სპორტული მოედანი. გარეთ არსებულ ტერიტორიაზე სასწავლო წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასახვა ხასიათის ღონისძიებები. იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები. დაწესებულებას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, შიდა

სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. მოსწავლეებს და სკოლის ყველა თანამშრომელს აქვთ საშუალება განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, სკოლის შიდა სივრცე სრულად ადაპტირებულია. სკოლას აქვს ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილი.ამგვარად, მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს აქვთ საშუალება განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სკოლის სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას სსიპ -საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულმა სააგენტომ გადასცა ახალი ლეპტოპები, პროექტორები და მულტი პრინტერები. სკოლის აიტი კაბინეტი აღჭურვილია უკვე აღნიშნული ტექნიკით. მათ შორის სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას.

სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა რომლის მიხედვითაც მოეწყო სამუშაო სივრცეები, სადაც მასწვლებლები მუშაობენ. კომპიუტერულ ლაბორატორიაში - საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტექნიკასთან მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაშვებას და უსაფრთხოდ გამოყენებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ციფრული თვითშეფასების გეგმა;

- მიღება-ჩაბარების აქტები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები;

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესით'', სკოლას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას, აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში არის საკადრო, საერთო ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების საქაღალდე მატერიალური სახით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული ფორმით - eflow და eschool - ის პლატფორმაზე. ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც

უზრუნველყოფს დოკუმენტების მატერიალური და ელექტრონული დამუშავების თავსებადობას. დაწესებულებას აქვს პირადი ელ.ფოსტა: tbilisi43@mes.gov.ge . კანცელარიაში შემოსული ოფიციალური კორესპონდენცია მიიღება, სკანირდება და აღირიცხება უფლებამოსილი პირის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

დაწესებულება სარგებლობს Eschool-emis ელექტრონული ბაზით, რომელიც ინფორმაციულად მუდმივად განახლებადია და შეტანილია ყველა სავალდებულო ინფორმაცია: მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა.კოლა სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. კონკრეტულად:

- სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე სისტემაში იტვირთება სკოლის მიერ მონაცემები მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესახებ;

-სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე სისტემაში იტვირთება , ასევე სათობრივი ბადე;

- სასწავლო წლის დაწყებამდე ან/და სტატუსის მინიჭებისთანავე, სისტემაში ინიშნება სსსმ მოსწავლის სტატუსი, მიემაგრება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ან ფსიქოსაგანმანათლებლო სპეციალისტის დასკვნა, შშმ სტატუსი (ასეთი არსებობის შემთხვევაში), ასევე ხდება გადანაწილება შესაბამის სპეციალურ მასწავლებელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია ყველა სახელმწიფო უწყებასთან, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს: განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. გარდა ამისა, სკოლა გეგმიურად, კანონმდებლობის მოთხოვნის

საფუძველზე, ყოველწლიურად წაადგენს ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშებს (პრემიერი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე), რომელიც ქვეყნდება matsne.gov.ge -ზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 10 დეკემბრის ანგარიშები;
- მაცნესთან მიწერილობა;
- eflow;
- eschool-emis;
- ელ. ფოსტა სკოლის;

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

საზოგადოების ინფორმირებისას და მასთან კომუნიკაციისას სკოლა ახორციელებს ძირითადად სოციალური ქსელში - მესენჯერ ჯგუფების და Teams-ის ჯგუფების მეშვეობით. სკოლის Facebook გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის, მის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მიმდინარე სიახლეების შესახებ. სოციალური ქსელის მართვაზე, ინფორამციის სისწორესა და დროულ განთავსებაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის საქმისმწარმოებელთან, რომელიც აწვდის ინფორმაციას სკოლის დირექციას. მუშავდება შემოსული ინფორმაცია, მოწმდება ინფორმაციის სანდოობა და საჭიროებისამებრ ხდება სათანადო რეაგირება.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა აანალიზებს სასკოლო საზოგადოებისგან (მშობლებისგან, მოსწავლეებისგან, მასწავლებლისგან..) მიღებულ უკუკავშირს. მსჯელობს კრებებზე, აზუსტებს საკითხებს, აწყობს გასაკეთებელ საქმეებს/დასახულ ამოცანებს პრიორიტეტების მიხედვით. ამ გზით იყენებს სკოლა შემოსულ ინფორმაციას საქმიანობის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას ძირითადი დოკუმენტაცია სკოლების პორტალზე აქვს განლაგებულ საკუთარ ვებ გვერდის სივრცეზე: https://skolebi.emis.ge/schools/290?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%20%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%9643%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 აღნიშნულ ვებ. გვერდზე ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული (სკოლა ახორციელებს სწავლებას ქართულ ენაზე). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

**(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

6. სკოლას აქვს ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/ -ზე, რომელზეც განთავსებულია აუცილებელი ინფორმაცია, როგორიცაა: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასკოლო სასწავლო გეგმა, მათ შორის პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას აპირებს გამოაქვეყნოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები - ანგარიშის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლების პორტალი;
- სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება, სსსმ მოსწავლეების დაფინანსება. დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი, საკუთარი შემოსავლები- იჯარით გაცემული ფართიდან. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული და სამურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2024 -2025 წლის ბიუჯეტი, რომლის კორექტირება განხორციელდა ორჯერ, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. შესყიდევბის გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრებიდან მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ყავს ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირი.საჭიროების შემთხვევაში ინდ.აქტით შეტანილია ცვლილებები შესყვიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამ ოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიში;
- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცული**

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი,დირექტორის ბრძანება N2-233 2024 წლის 30 დეკემბერი . „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“. აღნიშნული შიდა რეგულაციები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება მოსწავლის წახალისების და დისციპლინური დევნის პრინციპები; „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის შესაბამისად, მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით განსაზღვრულია შემდეგი მექანიზმები: სკოლის

შინაგანაწესი; სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლის დისციპლინური კომიტეტი; სკოლის მანდატური/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; სკოლის ექიმი; თითოეული კლასის დამრიგებელი; სკოლის სასწავლო გეგმა. აღნიშნული წესის თანახმად, აღწერილია მოსწავლის,მოსწავლის მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის უფლებები. სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესის"დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 2024წელს. შინაარსიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა, განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული რეგულაციით განისაზღვრება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, მკითხველის უფლებები და მოვალეობები და ა.შ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მიმართვის ფორმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიებს სკოლა უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო-სასწავლო გეგმა თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული(ფოიეში). სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესენჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორამაციას. დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სკოლის ვებ.გვერდზე გაზიარებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, გასაჩივრების დეტალური პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მოსწავლესთან / მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთა გაფორმებული „საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით" განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება - მოვალეობები. მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი, სასწავლო დრო, დასვენების დროს, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და სხვა დებულებები. მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული

ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი გაცნობა დასტურდება ხელმოწერით. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო „საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის შინაგანწესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. გარდა ამისა, სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების შემოწმების დაფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის” შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა სარგებლობს სსსმ მოსწავლისთვის სტატუსის მინიჭების მექანიზმით. ყველა 12-ივე სსსმ მოსწავლეს აქვს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის მიერ მომზადებული დასკვნა, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს ჩარიცხულებს ფსიქოსაგანამანთლებლო კონსულტანტის დასკვნა. მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება თუ შეწყვეტა რეგულირდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებით. მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის საკითხი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმით და დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. სსსმ მოსწავლეების აკადემიური შეფასება ხორციელდება ისგ-ჯგუფის მიერ პერიოდული მონიტორინგის და საბოლოო შეფასების პირობებში. ყველა მოსწავლის წლიური და საფეხურის შეფასება ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. ასევე ასახულია ზემოთაღნიშნული პროცესები მოსწავლის პირად საქმეშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. საინფორმაციო შეხვედრები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად გამოიყენება სოც.ქსელები, დახურული ჯგუფები და სხვა ონლაინ პლატფორმები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი,

გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია შეთანხმებული, გადამოწმებულია სკოლის დირექციასთან. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ გვერდი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;
- სკოლის საერთო ბრძანებები;
- Eschool ბაზა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების ნაწილში და სკოლის შინაგანაწესშიც. ადაპტაციის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, სკოლის სპეციალური მასწავლებლები, დირექტორი. ყველა ახალი მოსწავლესთვის სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს ხდება სასკოლო გარემოს დათვალიერება-გაცნობა, მოსწავლისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, იქნება ეს ტრანზაცია ბაღიდან სკოლაში, თუ სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში ან სხვა სკოლიდან . საჭიროების შემთხვევაში. თუ ის სსსმ მოსწავლეა აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც. ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. საბაზო /საშუალო საფეხურზე მყოფი სსსმ მოსწავლის პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციის მიზნით, მოსწავლის შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა კოლეჯის და პროფესიული პროგრამების შესახებ . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვს, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია მხარდაჭერის მიზნით. ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. სასკოლო

სივრცეში პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დამატებით მხარდაჭერას საჭიროებენ. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი წინასწარ განსაზღვრული განრიგით მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ასევე სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს და იქმნება მოსწავლის დასწრების ინდივიდუალური განრიგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის“ თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერ წარმომადგენლები ინფორმირებული არიან მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში სკოლა დაეხმარება რეფერირებაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის , გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ხელშეკრულება მშობელთან, მშობელთა კრების ოქმი, კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. ხშირია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის შედეგად განხორციელებული პროექტები. ამ მხრივ მრავალფეროვანი მტკიცებულებები აქვს სკოლას:

- ❖ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთთა თვითთმამართველობა.
- ❖ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლების მხარდაჭერით და მოსწავლეთა ინიციატივით დაარსდა დებატების კლუბი.
- ❖ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები ეკოლოგიური მიმართულებების პროექტში;
- ❖ სკოლის მოსწავლეები ხშირად გეგმავენ არაფორმალურ აქტივობებს.
- ❖ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა ძალიან საინტერესო პროექტი მოამზადეს ლოგოების თემაზე;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის დირექციამ შეიმუშავა კითხვარი, რის საფუძველზეც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით გამოვლინდება პრიორიტეტული საკითხები. სკოლა გეგმავს კვლევის შედეგების გათვალისწინებით, 2025-2026 სასწავლო წელს განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეთათვის. აღნიშნული დაწესებულება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციას არაფორმალურ აქტივობების სახით ახორციელებს. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა სხვადასხვა პროფესიების მქონე ადამიანთა მოწვევა სკოლაში, მათთან გაიმართა დისკუსიები. ასევე, თვითონ სკოლა აპირებს პროფესიული პროგრამის შემოღებას სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლა შესაძლებლობების ფარგლებში აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა გეგმავს ვიზიტს კოლეჯში, რომლის შემდგომ მოსწავლეები თავად გააკეთებენ არჩევანს : გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში თუ მიიღონ პროფესიული ცოდნა და გამოავლინონ მათი უნარ-ჩვევები მათთვის საინტერესო სფეროში.

დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწვდიან განახლებულ ინფორმაციებს მოსწავლეებს ,რომელსაც დირექცია აწვდის. . აღნიშნული ინფორმაციები ეხება ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებს და აგრეთვე, კარიერული განვითარების საკითხებსაც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, რომელიც კარგად ჩანს მასწავლებლების უკუკავშირში და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ჩატარებულ აქტივობებში. ასევე, წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობლეთა კრებების დროს ხდება მშობლებთან გასაუბრება და მათი წინადადებების, ინტერესების გათვალისწინება. წლის ბოლოს სკოლა აპირებს აგრეთვე ჩაატაროს ანონიმიური ანკეტირება. ანკეტირებაში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ანკეტირების გაანალიზების შემდეგ დაიდება ანგარიში, რომლის საფუძვლად მოხდება სკოლაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელის facebook -ის გვერდი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- პირადი საქმეები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკე თავი აქვს დათმობილი ინკლუზიურ განათლებას. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ისგს- ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორს სასწავლო წლის დასაწყისშივე. აღსანიშნავია, რომ ისგ-ს აქტიური წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს ჰყავს 12 სსსმ მოსწავლე. რომელთაც ორი უფროსი სპეციალური მასწავლებელი ემსახურებოდა რესურს ოთახში. ყველა სსსმ მოსწავლეზე იყო მულტიდისციპლინური გუნდის ან

ფსიქოსაგანმანათლებლო სპეციალისტის გუნდის შეფასება. სკოლას უკვე ჰქონდა წლის განმავლობაში ისგ გუნდის მიერ 4 ( ოთხი ) წარმოებული ოქმი, ასევე ინტერვენციის გეგმები, საგნობრივი გეგმები. სკოლას ემსახურება ორი მეტყველების თერაპევტი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურსოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით და სხვა..

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

12-ივე ისგ ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს ადმინისტრაციასთან და სკოლის დირექციასთან, სსსმ მოსწავლის მშობელთან. ისგ-ს ჯგუფი სემესტრში ორჯერ, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ ხვდება ერთმანეთს და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის სტრატეგიებს და აქტივობებს. პერიოდულად ხდება მშობლებთან შეხვედრები, სადაც ისინი იღებენ ინფორმაციას, რეკომენდაციებს სპეციალისტებისგან და ეცნობიან სიახლეებს. თუ საჭიროა, ხდება ისგ -ს გეგმის კორექტირება. სკოლაში დასაქმებულია მაღლკვალიფიცირებული სპეც. მასწავლებლები, რომლებსაც ყველა მოსწავლეზე აქვთ ინტერვენციის გეგმები. ისინი პრაქტიკულ კერომენდაციებს სისტემატურად აწვდიან საგნის მასწავლებლებს. ყველა აღნიშნული ქმედება ქმნის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- რესურსოთახში მუშაობის გრაფიკი;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმები;
- ინტერვენციის გეგმები;

- სსსმ მოსწავლეთა პორტფოლიოები;
- ისგ-ს სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლას არა აქვს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება - წრეების სახით. მხოლოდ იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გასცემს სკოლის ფართს კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის და იჯარის ფორმით არის გაცემილი სკოლის დარბაზი - ქართული ხალხური ცეკვის წრის ფუნქციონირებისათვის. სკოლას, ასევე, მშობელთა და მოსწავლეთა განცხადების საფუძველზე მზაობა აქვს შესთავაზოს მათ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურება მიზნად ისახავს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. იჯარით გაცემული ფართები არის აღჭურვილი  და იქ  დაცულია უსაფრთხოების ნორმები. კვების ობიექტი  მოწყობილია სკოლის შიგნით პირველ სართულზე. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულებების  განსახორციელებლად, სკოლას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- იჯარის დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლოკურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხური) | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა<br>☐ მ ე ტ წ ი ლ ა დ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა<br>☐ ნ ა წ ი ლ ობ რ ი ვ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა<br>☐ ა რ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო საფეხური) | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საშუალო საფეხური) | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ შემუშავებული ,,კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას კურიკულუმში ასახული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კათედრის სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

**4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ვებგვერდი იძლევა კურიკულუმების გაცნობის შესაძლებლობას, დაინტერესებულ პირთათვის.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა დანართი N60
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი წლის დასაწყისი დანართი N9
- შინაგანაწესი დანართი N13
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებითი საფეხური
- შედეგების ანალიზი დანართი N63

**კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ძირითადად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული |

| | |
|---|---|
| მეცნიერებები | სასწავლო პროცესის დაგეგმვა, კურიკულუმის შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ასახულია თითოეულ სავალდებულო თემაში.<br><br>**რჩევა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს ოს სასურველია, კათედრდაზე არსებობდეს სტრუქტურირეული, ერთიანი ფორმა, სადაც აისახება კლასი, საგანი, შემაჯამებელი სამუშაოს რიგითობა, თარიღი, შეფასების სქემა. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს მოსწავლეების მიღწევების ანალიზს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განხორცილების პროცესში გაითვალიწინონ მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და შესაძლებლობები. |
| უცხოური ენები | ტიციან ტაბიძის სახელობის თბილისის 43-ე საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ შემუშავებულ კურიკულუმებში ისახებოდა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განხორციელების სურვილი და პოტენციალი, რადგან კურიკულუმის დაგეგმვის დროს სწორება მოხდა გრძელვადიანმიზნებზე ანუ სამიზნე ცნებებზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები წარმოდგენილი იყო სათანადოდ, ხოლო შუალედურ მიზნებად სკოლამ წარმოადგინა შემოქმედებითი პროდუქტი. |
| ესთეტიკური აღზრდა | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: მოსწავლეების აქტიურ ჩართვას შემოქმედებით, დამოუკიდებელ, |

| | |
|---|---|
| | ანალიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობებში, ინდივიდუალური ინტერესების, უნარებისა და განვითარების ტემპის გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ თავისუფლება, აირჩიონ მეთოდები და აქტივობები მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული სწავლების დასაგეგმად. |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. თავდაპირველად გამოგზავნილ კურიკულუმებში დაფიქსირდა ხარვეზები, რომელთა შესახებაც შეხვედრისას კათედრას ეუწყა:<br><br>**1-ელი და მე-2 კლასი**-ერთი გვერდია კურიკულუმი 1 თემით<br><br>**მე-3 კლასი-** 2 დავალებაა წარმოდგენილი, ორივე ერთნაირი-წერილი პერსონაჟს. მხოლოდ ამ დავალებების გრაფებია შევსებული, დანარჩენგან მხოლოდ ტექსტების ჩამონათვალია,არც ცნებები, რესურსები, არც -კონტექსტ მაგალითები, ცარიელია ჩარჩო.<br><br>**მე-4 კლასი**-იგივე, რაც მე-3-ში<br><br>**მე-5-მე-6 კლასები-** 2-2 დავალებაა წარმოდგენილი, არც ცნებები, არც რესურსები, არც კონტექსტ მაგალითები, კურიკულუმი მხოლოდ სახელმძღვანელოს სარჩევს წარმოადგენს.<br><br>**საბაზო-**<br><br>**მე-7 -მე-9 კლასებში** -ერთნაირი მდგომარეობაა:ცარიელი ჩარჩოა, მხოლოდ სარჩევია, არც ცნებები, არც დავალებები<br><br>**საშუალო** |

| | |
|---|---|
| | **მე-10 კლ-** თემების გრაფა ცარიელია, საკითხები შევსებულია იქაც, სადაც დავალება არაა ასახული შესაბამის გრაფაში, ანუ არ ჩანს, ეს საკითხები სად მუშავდება და რა სახით.<br><br>კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ გააზრებული აქვთ ხარვეზები, რომლებიც შეინიშნება მათ სასწავლო გეგმებში და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე, რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს სწორად და სულად შევსებული კურიკულუმის ნიმუში 1-ელი, მე-2 და მე-6 კლასებისთვის. |
| მათემატიკა | წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, რითაც დასტურდება, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, აღნიშნეს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები, უნარები და ინტერესები. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების და განსაზღრული მეთოდოლოგიის შესაბამისას წარვმართავთ, დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების დროს. |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობა, კალათბურთი, ოლიმპიზმი, ფრენბურთი, ფეხბურთი,ლაშქრობა და ძალისმიერი ვარჯიშები) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები,მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. |
| ტექნოლოგიები | II-VI კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები. დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა. |

**2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია ცნებების იერარქიის სახით. თითოეულ სავალდებულო თემაში გაწერილი აქვთ გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა განმარტეს, შუალედური მიზნების განხორცილების პროცესში, რომელ ფუნქციურ-კომპონეტურ უნარების განვითარებაზე იმუშავებენ მოსწავლეებთან. ინტერვიუირების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში შეიმუშავენ ისეთი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება მოსწავლეებში განავითარონ გლობალური ფუნქციური უნარები. |
| უცხოური ენები | სკოლამ წარმოადგინა პროექტი ასევე პროექტის ჩარჩო, სადაც იკვეთება კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბების, საკომუნიკაციო უნარების განვითარების, შემოქმედებითობისა და მოქალაქეობის განვითარების წახნაგები. მათ მიერ ჩატარებული დებატებით, კულტურათა დიალოგის კონტექსტში გამართული როლური თამაშებით და სხვა ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ელემენტების ჩართვით და კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი პროდუქტების გათვალსიწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა ცდილობს განავითაროს 6 ფუნქციურ კომპონენტური უნარი და მიუახლოვოს მოსწავლეები სამიზნე ცნებებს. |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ინდივიდუალური განვითარებისა და სოციალური კომპეტენციების განვითარება სხვადასხვა აქტივობით: მუსიკალური და სახელოვნებო შემოქმედებითი დავალებებით, ინტერპრეტაციებით, წარდგენებით, შთაბეჭდილებების გაზიარებითა და ჯგუფურიმუშაობით. მაგალითად, მუსიკის კურიკულუმში მიზნადაა დასახული მოსწავლის ემოციური ინტელექტის, შემოქმედებითი უნარების და სმენის განვითარება — რაც პირდაპირ უკავშირდება ეროვნული გეგმის მიზნებს. ხელოვნების საგანი კი ხელს უწყობს ვიზუალური აზროვნების, ესთეტიკური გემოვნებისა და კულტურული იდენტობის განვითარებას, რაც ეროვნული გეგმის ღირებულებებთან თავსებადია. კურიკულუმები ხშირად გულისხმობენ ინტეგრირებულ სწავლებას — მაგალითად, ხელოვნებისა და ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, მუსიკისა და ლიტერატურის კავშირით, რაც ეროვნული გეგმის მრავალმხრივი განათლების პრინციპს შეესაბამება. |
| სახელმწიფო ენა | კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს, რისი მანიშნებელიცაა ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება, ეს უკანასკნელი, როგორც კათედრა მიიჩნევს, მათი ძლიერი მხარეა. |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებების თემები, საკითხების ქვესაკითხები იერარქიული კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, ხელს უწყობს მათ შემოქმედებით, კრიტიკულ, ანალიზის, კომუნიკაციის, თვითშეფასების უნარებს, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს, მათ დაადასტურეს მზაობა უფრო აქტიურობით გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას და წარმართავენ სწავლა-სწავლების პროცესს სკოლაში. |

| | |
|---|---|
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი სპორტი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. ყველა კლასის კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით დავალებებს. ეს ყველაფერი მთლიანობაში ხელს უწყობს ესგ–თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას. |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საგნობრივ კურიკულუმებში ასახული რესურსები ერთნაირია ყველა სკოლისათვის და არ ჩანს კონკრეტული სკოლის, კათედრის ბაზაზე არსებული რესურსები. სკოლა პერიოდულად სარგებლობს ფიზიკასა და ქიმიაში ვირტუალური ლაბორატორიით, ციფრული რესურსებით, თუმცა , მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება, პრაქტიკაში, სასკოლო ლაბორატორიის პირობებში ჩაატარონ ცდები.<br><br>ვიზიტის პერიოდში <u>სკოლას არ ჰქონდა სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც მოსწავლეები დაგეგმავდნენ და ჩაატარებდნენ სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ ცდებს. სკოლის შენობაში გამოყოფილი იყო ოთახი ლაბორატორიისთვის, ჩატარებული იყო წინამოსამზადებელი სამუშაოები ლაბორატორიული ინვენტარის დასამონტაჟებლად. სკოლის ადმინისტრაციამ ორჯერ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სამინისტროს (2024 წლის 16ოქტომბერი და 2025 წლის 15 თებერვალი) და მოლოდინის რეჟიმშია. ამის გარდა, მწირია სასკოლო რესურსებიც ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიაში. (საბაზო-საშუალო საფეხურზე) მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რესურსების გამოყენებას საბუნებისმეტყველო საგნებში და გამოთქვამენ მზაობას, შეარჩიონ და გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი. (საბაზო და საშუალო საფეხური).</u> სკოლამ, ვიზიტის შემდგომ, წარმოადგინა |

| | |
|---|---|
| | **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.07. 2026 წელი.** ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი არის, როგორც ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოს სახით, ასევე ინტერნეტ რესურსი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| უცხოური ენები | კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი რესურსები, მრავლადაა აუდიო-ვიდეო მასალა რაც აუცილებელია ენობრივი კომპეტენციების განვითარების გზაზე. პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ აქტიურად იყენებენ უშუალოდ პლატფორმის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა ციფრულ რესურსებს, მაგალითად როგორიცაა თიმსის ქვიზი. |
| ესთეტიკური აღზრდა | მოსწავლის ინტერესის, შემოქმედებითი აზროვნებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს ვიზუალურ, აუდიო და ციფრულ რესურსებს (მაგ., ნოტები, ჩანაწერები, წიგნები, ალბომები, ილუსტრაციები, ვიდეოები, სხვა აუდიოვიზუალური მასალა, პრაქტიკული დავალებები, ინტერნეტრესურსები). მასწავლებლებს აქვთ საკმარისი ცოდნა თანამედროვე რესურსების ინტეგრირებისთვის და მათი პედაგოგიური გამოყენებისთვის. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს შემდეგ სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს, მასალას იუთუბ არხიდან, ტელესკოლის გაკვეთილების, სპექტაკლების ჩანაწერებს და ა.შ. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, მათემატიკის კრებულები, ვიდეოგაკვეთილები ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები და სხვა დაადასტურეს პედაგოგებმაც გასაუბრების დროს და რნიშნეს რომ გამოყენებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. |
| სპორტი | კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები -(მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა და პროექტული სწავლება), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის;ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში  და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი |

| | |
|---|---|
| | სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. |
| ტექნოლოგიები | ყველა კლასის კურიკულუმში გაწერილია საჭირო საგანმანათლებლო და დამატებითი რესურსი. ასევე, გათვლილია ისეთი დავალებები, რომლის შესრულების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/გადაწყვეტის მოძებნა, რაც ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, ჯი-პრაიდის პლაკატები, მოდელები და სხვა, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, კოლეგების ან ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო დასწრებების დროს გაკვეთილის შეფასების ერთერთი კრიტერიუმი მოსწავლეთა ჩართულობაა,საგნობრივ |

| | |
|---|---|
| | ანგარიშებში აქცენტირებულია მოსწავლეთა ჩართულობა. სკოლაიაზრებს სასკოლო კურიკულუმის განვითარებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას და აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, მოსწავლეებთან, ითვალისწინებს მათ ინტერესებს,საჭიროებებს. სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, შედგენილია საგნობრივი ისგ გეგმები,იზომება მოსწავლის პროგრესი.<br><br>**რჩევა: ისგ გრაფაში "სტრატეგია, აქტივობები, რესურსები" ასახეთ რა მეთოდით, რომელი აქტივობით და რა რესურსით აღწევთ მიზანს, ასახეთ მოსწავლის პროგრესი მეტი დეტალურობით.თან დაურთეთ თქვენს მიერ მოდიფიცირებული დავალება,მიუთიეთ, რომელ სასწავლო მიზნებს და როგორ ზომავთ. (საბაზო/საშუალო საფეხური). მე-6 კლასის წარმოდგენილ ისგ გეგმაში სამიზნე ცნებები მოიყვანეთ შესაბამისობაში თანამედროვე ფორმულირებებთან (დაწყებითი საფეხური). ჩატარებული კითხვარის (მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში) ანალიზში ასახეთ შედეგების სტატისტიკური მონაცემები, მეტი კონკრეტულობა ინიციატივასთან ან შედეგებთან დაკავშირებით.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გარკვეულწილად გამოჩნდა თუ რამდენად შეუძლია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლა აქცენტირდეს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებს მოსწავლეების საჭიროებების გათვალიწნებით შეუძლია შეცვალონ შუალედური მიზნები და მოახდინონ შემოქმედებითი დავალების მოდიფიცირება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის დავალების ადაპტირებული ვერსიის შექმნა, სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის გამოცდილება აქვთ და აქტიურად იყენებენ, ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ მათი მთავარი მიზანი ყველა მოსწავლის მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაა, ამას კი სხვადასხვა აქტივობების, მოდიფიცირებული რესურსებით და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით ახდენენ. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნების მიხედვით და დავალების ადაპტირებული ვერსია. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სკოლა არეგულირებს მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას.კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმები უცხოურ ენაში და აჩვენა უშუალოდ სასწავლო პროცესში, შემოქმედებითი პროდუქტისა თუ საკლასო-საშინაო დავალების ადაპტირებისა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობები. |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. შეფასება, აქტივობები და მასალები ადაპტირებულია ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით. მოსწავლეებს აქვთ საშუალება გამოხატონ საკუთარი თავი სხვადასხვა ფორმით (ხატვა, მუსიკა, მოძრაობა). შესაძლებელი ხდება მრავალარხიანი სწავლება: ვიზუალური, აუდიტორული, კინესთეტიკური და ემოციური ჩართულობით. ინკლუზიური და დიფერენცირებული პრაქტიკების ეფექტიანობას განაპირობებს მასწავლებლის მიდგომები, უნარები და და სკოლის მხარდაჭერა. |
| სახელმწიფო ენა | კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში; პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო რესურსებს. |
| მათემატიკა | წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ და ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. კომპლექსურ დავალებებსაც მათი შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირებას ვუკეთებთ და მათ უნარებზე და შესაძლებლობების მიხედვითა გათვლილი დავალების პირობა. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ეტაპობრივი შემოწმება, რითაც ვაწარმოებთ დაკვირვებას და გამოკითხვას, შესაბამისად ვაძლევთ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და მამოტივირებელია თითოეული |

| | |
|---|---|
| | მოსწავლისათვის. გვაქვს სსსმოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, აღნიშნეს კათედრის წევრებმა. შესაბამისად სპეცმასწავლებელთან ერთად, საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით ვადგენთ ისგ-ას, შეფასების რუბრიკებს. ვგეგმათ დავამკვიდროთ სკოლაში და გავაძლიეროთ დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. |
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. სკოლას კლასში ჰყავს სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც მუშაობა ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს. მასწავლებელმა გამოთქვა მაღალი მზაობა, რომ 2025-2026 სასწავლო წელს ინდ გეგმა ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. სსიპ ქალაქ თბილისის N 43 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ ისინი თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თავისებურებები, განსხვავებული სწავლის სტილი. ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს სხვადასხვა დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგალითად, აძლევს მათ არჩევანის საშუალებას დავალების შესასრულებლად, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და მიღწეულ შედეგებზე. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების |

| | |
|---|---|
| | გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, შესაბამისად სპეცმასწავლებელთან ერთად, საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით ადგენენ ისგ-ს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან (სასწავლო პროცესის ანგარიში 2023-24) ჩანს, რომ შეფასების სიზუსტის მხრივ გამოწვევები არსებობდა, რაც ძირითადად დაძლეულია, თუმცა, რჩება გამოწვევებიც.<br><br>**რჩევა: წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში, მათ შორის შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. (სააზო და საშუალო საფეხური).** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა ეყრდნობა ზოგადი განათლების კანონს და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეფასების სისტემა და შეფასების განხორციელების წესი. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. სკოლას |

| | |
|---|---|
| | შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. |
| უცხოური ენები | კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, აჩვენებს, მოსწავლეთა ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საგანმაათლებლო პროცესის და შემაჯამებლის შეფასების რუბრიკები სრულად,კრიტერიუმებისა და ქულების მითითებით. პედაგოგებმა ასევე დაადასტურეს, რომ მოსწავლეთათვის რუბრიკების გაცნობა ხდება წინასწარ. |
| ესთეტიკური აღზრდა | შეფასება მწყობრად უკავშირდება სწავლის შედეგებს. შეფასება ემსახურება ეროვნული გეგმის მიზნების მიღწევას.<br><br>**რჩევა: სასურველია, რომ შეფასება, ფაქტობრივი ცოდნის ფიქსაციასთან ერთად,ასახავდეს შემოქმედებითობას, მონაწილეობას, პროცესში ჩართულობას. სასურველია, ინტეგრირებული იყოს უწყვეტი უკუკავშირი, თვითშეფასება, თანატოლების შეფასება.(საბაზო საფეხურზე)** |
| სახელმწიფო ენა | კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, მაგრამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში კათედრამ წარმოადგინა გაუმჯობესებული რუბრიკა მიუხედავად ამისა,კათედრას მიეცა რჩევა<br><br>**რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს,რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. (საბაზო-საშუალო საფეხური)** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღვწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღრვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს,აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების პროცესში გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შექმნან მოსწავლის შეფასებისა და თვითშფასების რუბრიკებს, რომელიც შესაბამისი იქნება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების. |
| სპორტი | სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. |
| ტექნოლოგიები | სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. ასევე, შემოქმედებითი დავალებები ფასდება ე.წ. სოლო ტაქსონომიით. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
- სპეციალური მასწავლებლის ანგარიში. მულტიდისციპლინური ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია; სსსმ
- მოსწავლების საგნობრივი მონიტორინგები;
- შემოქმედებითი პროექტები;
- მიმდინარე შემოქმედებითი დავალების ( პრეზენტაცია, პროექტი, რეფერატი) კომპონენტები ხელოვნებაში;
- პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა. რეფერატის შეფასების რუბრიკა. დისკუსიის შეფასების რუბრიკა. პროექტის
- შეფასების განზოგადებული რუბრიკა;
- შემაჯამებელი ტესტი, პროექტი, პრეზენტაცია;

- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმები;
- რესურსების რეესტრი და ფოტოაღწერა;.
- საგნობრივი კურიკულუმები დანართი N69;
- განმავითარებელი შეფასება საბაზო საფეხური;
- დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები;
- მე-3 კლასი კომპლექსური დავალების ბარათი მათემატიკაში;
- მე-2 კლასი კომპლექსური დავალების ბარათი ქართულში, შეფასების რუბრიკა, მოსწ, ნამუშევარი;
- დაწყებითების კათედრის ოქმი N1, N2, N3;
- კათედრის ანგარიში
- საგნობრივი ანგარიში;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შეფასების რუბრიკა
- გაკვეთილის გეგმა 1 კლასი მათემატიკა;
- რეფლექსია და უკუკავშირი;
- სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიში;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ისგ;
- მათემატიკა მე-9 კლასი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;
- მათემატიკა მე-10 კლასი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;
- მე-3 კლასი კომპლექსური დავალების ბარათი მათემატიკაში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ ო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ ო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქვთ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გარკვეული მოდიფიცირების საჭიროებას ყოველთვის მოითხოვს და ხშირად ახორციელებენ კურიკულუმის გადახედვას და ცვლილებების განხორციელებას, რასაც შემდეგ უკვე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში ასახავენ. |
| უცხოური ენები | სკოლამ დაადასტურა თანხვედრა კურიკულუმებში დაგეგმილ აქტივობებსა დაუშუალოდ სასწავლო პროცესს შორის. კათედრის განცხადებით, პროქტის,შემოქმედებითო პროდუქტის შექმნისა თუ დებატების მომზადების პროცესში, განხორციელებული აქტივობები მიემართებოდა ქვე-ცნებისაკენ. |
| ესთეტიკური აღზრდა | სწავლების მიზნები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს.გაკვეთილში გაწერილი მიზნები დაკავშირებულია კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებთან. გამოიყენება კურიკულუმის ტერმინოლოგია. აქტივობები ხელს უწყობს უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. სწავლა ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს (ინტეგრაცია, მრავალფეროვნება, კულტურული კონტექსტი და სხვ.).<br><br>**რჩევა: გაკვეთილის პროცესზე დაკვირვება, სასურველია, შეეჯერდეს პედაგოგის და მოსწავლეთა ჩართულობის ანალიზით. (დაწყებითი საფეხური)** |
| სახელმწიფო ენა | მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის მათ ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, ატარებენ გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენებით  და ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით. |

| | |
|---|---|
| | ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელების ვალდებულება, ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას ანალოგიური პრინციპებით და მიდგომებით დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმები და მის შესამაბისად სასწავლო პროცესი. |
| სპორტი | საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს,ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტი, ოლიმპიზმის, მავნე ჩვევების და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ,მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით |

| | |
|---|---|
| | პროცესში ჩართულობისათვის. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას. |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მხრიდან მოსწავლეთა საჭიროებებზე მოქნილი რეაგირება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნისთვის.სკოლაში დროებით არის განთავსებული სხვა სკოლა. ამდენად, დღის მეორე ნახევარში სასკოლო სივრცის გამოყენება ვერ ხდება სკოლის საჭიროებისამებრ. ეს, დიდწილად, განაპირობებს სკოლის ნაკლებად მოქნილ რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

დაკვირვებებმა აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა ინდივიდუალურ საჭიროებების წარმატებით იდენტიფიცირების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების. კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ამგვარი ქმედება იძლევა მოსწავლეთა მხარდაჭერისა და მათი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების შესაძლებლობას,რაც ხელს უწყობს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას, მოტივაციის გაძლიერებას, მონაწილეობასა და სოციალურ ჩართულობას, რაც მთლიანობაში ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო სივრცეს.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები,რომელიც იძლევა საფუძველს, შეფასების სისტემა ჩაითვალოს შეფასების პრინციპების გათვალისწინებით.<br><br>რჩევა: შეფასების სქემა თან დაურთეთ შემაჯამებელი დავალების პირობას ნაბეჭდი ფორმით |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც გვაძლევსიმის თქმის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე,სანდო, ობიექტური, სამართლიანი. |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათში წარმოდგენილი კრიტერიუმები მიემართება სწავლის შედეგებისკენ, მოსწავლეები წინასწარ ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდებიან. თავად კრიტერიუმები არის კონსისტენტური და მდგრადი.პედაგოგების განცხადებით, კი მოსწავლეები უშუალოდ არიან ჩართული შეფასების სისტემის ჩამოყალიბების პროცესშიც. |
| ესთეტიკური აღზრდა | შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმის მიზნებს და ამ მიზნებით განსაზღვრულ შედეგებს. გამოიყენება განსხვავებული ფორმის შეფასება (ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური, შემოქმედებითი). წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრება პედაგოგებთან არ წარმოქმნის ეჭვს შეფასების სისტემის ვალიდურობაში, გამჭვირვალობაში, სანდოობაში, ობიექტურობასა და სამართლიანობაში.<br><br>**რჩევა: სასურველია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები და შემდგომ, მოსწავლეები ჩართოს ურთიერთშეფასების პროცესში.(საბაზო საფეხურზე)** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები, იყენებენ თვითშეფასებას. |
| მათემატიკა | შეფასების რუბრიკები ვალიდულია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები.აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებითაც. |
| სპორტი | მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. |
| ტექნოლოგიები | სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს. შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასახავს მოსწავლის განვითარების დინამიკას. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის უნარი. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების (ქართული, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის მიერ შემუშავებული და გაზიარებული დოკუმენეტების გაცნობის შემდეგ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი პროცედურულად გაწერილი არ იყო, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ აღნიშნულ დოკუმენტს მოამზადებენ. მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ ძირითად შემთხვევაში შეფასების რუბრიკები იქმნება და უზიარდება სასკოლო საზოგადოებას. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს პოტენციალი აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას. მაგ : შეიქმნას დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება შეფასების სისტემის არჩევის, რუბრიკების მომზადების, შეფასების მიცემის და გასაჩივრების წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც ელექტრონული ჟურნალის ასევე პედაგოგების პირადი ჩანაწერების სახით. ამასთანს ერთად სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასებისთვის განკუთვნილი ჩაბარებული დავალებები შენახული იყოს 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა. რეფერატის შეფასების რუბრიკა. დისკუსიის შეფასების რუბრიკა. პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა;
- შემაჯამებელი ტესტი, პროექტი, პრეზენტაცია(ესთეტიკის კათედრის);
- დაწყებითების კათედის ოქმი N1 N2 N3;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად გამოიყენება ძირითადად ციფრული რესურსები.<br><br>რჩევა: კურიკულუმის შეფასებისათვის წლის ბოლოს კათედრებიდან წამოსული ინიციატივები და |

| | |
|---|---|
| | ცვლილებები დამხმარე ან ძირითადი რესურსების შესახებ აისახოს ცალკე ჩამონათვალის სახით,დასაბუთდეს რესურსის შესაბამისობა, ძირითადი რესურსის ცვლილების შემთხვევაში არჩევანის არგუმენტირებული ვერსია წარედგინოს კათედრას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში, ძირითად რესურსად წარმოედგენილი არის სახელმძღვანელო, ხოლო დამატებით რესურსად ინტერნეტ რესურსები. |
| უცხოური ენები | წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს ძირითადი სახელმძღვანელოების გამოყენების, ასევე მრავალფეროვანი რესურსის ჩართვის ფაქტები. მათ შორის მრავლადაა ციფრული რესურსები. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მეთოდური და საგანმანათლებლო ლიტერატურა, თანამედროვე ციფრული რესურსები, აუდიო/ვიდეო მასალა, ხელოვნების ნამუშევრების შესაქმნელი მასალა და ინვენტარი ეხმარება მოსწავლეს სწავლის შედეგების მიღწევაში. სივრცე ხელმისაწვდომია პრაქტიკული საქმიანობისთვის.მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება და ქმნის შემოქმედებითი პროცესის ხელშემწყობ დამატებით რესურსს.<br><br>**რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი პროცესის მრავალფეროვნულად განვითარებას.(დაწყებითი საფეხური)** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები,სპექტაკლების ჩანაწერები) |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები და სხვა რაც დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. |
| სპორტი | ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: school.emis.ge; code.org. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების (ქართული, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. |

**2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების სისტემურ ვალიდაციას. |
| უცხოური ენები | კათედრაზე, ინგლისური, რუსული და გერმანული ენის პედაგოგები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იყენებენ რესურსებს. აჩვენებენ თანამშრომლობის კულტურას და უზიარებენ ერთმანეთს საჭირო რესურსებს.რესურსების მრავალფეროვნება და არცთუ მცირე რაოდენობა სამივე ენის კურიკულუმებში ადასტურებს ზემოთხსენებულს. |
| ესთეტიკური აღზრდა | არსებული დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნობრივ სასწავლო გეგმებს. რესურსების შერჩევაში ჩართულია საგნის პედაგოგი. რესურსების გამოყენებამდე ხდება მათი განხილვა და შეთანხმება სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| სახელმწიფო ენა | კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ადაპტირებული ტექსტებით, შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. |
| მათემატიკა | პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც |

| | |
|---|---|
| | მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ . |
| სპორტი | სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. |
| ტექნოლოგიები | თვითშეფასების კითხვარში იკითხება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, მასწავლებელიც გვიდასტურებს, რომ კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსის შერჩევა. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად.<br><br>ასევე, ვიზიტის პერიოდში **აღნიშნულ დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და არ გააჩნდა შესაბამისი მატერიალური რესურსი-აღჭურვილობა, რეაქტივები, ქიმიური ჭურჭელი, ფიზიკის ხელსაწყოები, ბიოლოგიაში მიკროსკოპები და მოდელები.(საბაზო და საშუალო საფეხური). სკოლამ, ვიზიტის შემდგომ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დასრულების ვადად - 23.07. 2026 წელი.**ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| უცხოური ენები | კათედრამ დაადასტურა, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეთათვის ხარისხიანი უცხო ენის გაკვეთილების ჩატარებისთვის საჭირო რესურსი. |
| ესთეტიკური აღზრდა | გაკვეთილის დროს ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფში, იმუშაოს რესურსით. მოსწავლეთა რაოდენობა არ აჭარბებს იმ ზღვარს, რაც ხელს უშლის პროცესის |

| | |
|---|---|
| | ორგანიზებას. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა განუწყვეტლივ იღვწის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. |
| მათემატიკა | სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. |
| სპორტი | სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვევტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისგეგმაზომიერად განხორციელებას. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცეი მიმდინარეობს კომპიუტერულ ლაბორატორიაში. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის |

| | |
|---|---|
| | შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. |

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რაც დასტურდება მათი რეგალიებით და ასევე წარმოდგენილი მტკიცებულებების საშუალებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
- შემაჯამებელი ტესტი, პროექტი, პრეზენტაცია;
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმები;
- სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიში;
- შემაჯამებელი დავალებეის ნიმუშები ბუნეისმეტყველებაში, ფიზიკა, ქიმიასა და ბიოლოგიაში;
- მშობელთა კითხვარის ნიმუში, შევსებული ნიმუში, კითხვარების ანალიზი;
- სემესტრული გამოცდის გადაბარების მასალები;

- ექსტერნის მასალები;
- წერილები ინფრასტრუქტურის სამინისტროს;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ ფასდება.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ფორმები რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელთა კითხვარის ნიმუში, შევსებული ნიმუში, კითხვარების ანალიზი;
- სასწავლო პროცესის ანგარიში;
- სამოქმედო გემის მონიტორინგი;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დგინდება, რომ საჭიროა მოსწავლეთა დამატებითი ინფორმირება შეფასების მექანიზმების შესახებ. შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

პედაგოგები მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს. როგორიცაა დაკვირვება, ინტერვიუ, მოსწავლისა და მშობლის კითხვარები, ჩანაწერები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**რჩევა: მეტი გამჭირვალობისა და ობიექტურობისთვი შეფასების სისტემაში სკოლამ გამოიყენოს სხვადასხვა , მრავალფეროვანი სტრატეგიები.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიში;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ ფასდება.
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ ფასდება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი **11 აგვისტო , 2025 წელი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამარ აბაზაძე ზოგადი განათლების ხარისხის
უზრუნველყოფის ექსპერტი;

ვერა გუდაძე  ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

შოთა მაღლაკელიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

მაია ჩაჩხიანი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ჯოჯიაშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

კობა დეკანაძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ხუციშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ვარდო გოგილავა უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო თედორაძე საზოგადოებრივი მეცნიერებებისსაგნობრივი ექსპერტი;

ირმა ავალიანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;